პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 66 (3043)

1966 წ. 5 აპრილი, სამშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი

## საინფორმაციო ცნობა სკკპ XXIII ყრილობის შესახებ

4 აპრილს დილით კრემლის ყრილობათა სასახლეში მუშაობას განაგრძობდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობა.

სხდომის თავმჯდომარემ შ. რ. რაშიდოვმა გამოაქვეყნა მეცნიერთა, კონსტრუქტორთა, ინჟინერთა, ტექნიკოსთა და მუშათა წერილი, რომლებიც მონაწილეობდნენ ავტომატური სადგურის „ლუნა-10"-ის შექმნაში. მათ ყრილობას მოახსენეს, რომ ავტომატური სადგური გაყვანილია მთვარის ახლო ორბიტაზე და იგი მსოფლიოში მთვარის პირველი ხელოვნური თანამგზავრი გახდა. დელეგატები და სტუმრები ფეხზე ადგნენ და მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ ამ ცნობას.

ავტომატური სადგურის შემქმნელებმა თავიანთი შესანიშნავი მიღწევა უძღვნეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობას.

ყრილობის დელეგატებმა გულითადად მიულოცეს მეცნიერებს, კონსტრუქტორებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებსა და მუშებს, კოლექტივებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც მონაწილეობდნენ მთვარის პირველი ხელოვნური თანამგზავრის შემუშავებაში, შექმნასა და გაშვებაში.

შემდეგ სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებისა და სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენების გამო გამოვიდნენ ამხანაგები: კ. ი. გალანშინი — სკკპ პერმის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ა. ა. ეპიშევი — საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსი, ა. ა. კოკარევი — სკკპ კრასნოიარსკის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი, ლ. ა. სისოევა — საბჭოთა მეურნეობა „ზვენიგოროდსკის" მუშა (მოსკოვის საოლქო პარტიული ორგანიზაცია).

ყრილობას მიესალმნენ საზღვარგარეთის კომუნისტურ პარტიათა წარმომადგენლები: ამხანაგები ვილე პესი — ფინეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი, ალვარო კუნიალი — პორტუგალიის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი და სხვ

შემდეგ სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებისა და სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენების განხილვაში მონაწილეობდნენ ამხანაგები: ა. ფ. ეშტოკინი — სკკპ კემეროვოს საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ლ. ა. კულიჯანოვი — სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი, ა. ა. სკორილოვი — სკკპ ულიანოვსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი.



ს უ რ ა თ ზ ე: საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის სხდომათა დარბაზში. წინა პლანზე საქართველოს სსრ დელეგაცია.

ფოტო ვ. ეგოროვისა და ვ. სავოსტიანოვისა (საკდესი).

# სპორტული აპრილი

აპრილში ჩვენი ქვეყნის 70-ზე მეტ ქალაქში ჩატარდება საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებები სპორტის 20 სახეობაში. ყველაზე მნიშვნელოვანი იქნება სოფლის სპორტსმენთა III სპარტაკიადის გახსნა. 7-17 აპრილს ჩატარდება შეჯიბრებები ჭადრაკში, შაშში, კლასიკურ და თავისუფალ ჭიდაობაში, ძალოსნობაში.

ფეხბურთის მოყვარულებს დიდ სიხარულს მოუტანს 10 აპრილი. ამ დღეს „ა" კლასის I ჯგუფის გუნდები ალმართავენ სსრ კავშირის მორიგი ჩემპიონატის ალამს. ფრენბურთელ ვაჟთა გუნდები კიევში გამართავენ ასპარეზობას (19-25) ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის სახელისთვის. ახალგაზრდობის სპორტსკოლების თავისუფალი სტილის მოჭიდავეები შეიკრიბებიან ბრესტში, გროზნოში, ნოვოსიბირსკში, ორჯონიკიძესა და ფერგანაში, „კლასიკოსები" კი — ალმა-ათაში, ზაპოროჟიეში, კიშინიოვში, კრასნოდარში, სვერდლოვსკსა და თბილისში. ამ ქალაქებში 23-24 აპრილს გაიმართება ზონალური შეჯიბრებები.

ხარკოვში (19-24) ჩატარდება სსრ კავშირის უძლიერეს წყალბურთელთა გუნდების პირველი წრის II ტური. ვოლგოგრადელები ნახავენ მხატვრული ტანვარჯიშის ოსტატებს, — აქ 24-27 აპრილს გაიმართება ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატი.

23-24 აპრილს ლესელიძეში სტარტი მიეცემა ოლიმპიური გუნდების მატჩს მძლეოსნობაში. რიგა მასპინძლობას გაუწევს გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას" პრიზზე გამართულ წყალში მხტომელთა საკავშირო შეჯიბრებას. საკავშირო ტურნირებს ჩაატარებენ მსროლელები (20-26 აპრილი, ლვოვი) და მოფარიკავეები (18-23 აპრილი, ხარკოვი).

სერიოზული გამოცდა ელით კალათბურთელებს. პოლონეთში გაემგზავრება სსრ კავშირის ჭაბუკთა გუნდი. ჩვენი ქვეყნის ქალთა ნაკრები საასპარეზოდ ჩავა ამერიკის შეერთებულ შტატებში. და, ბოლოს, ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი — სსრ კავშირის ვაჟთა ნაკრები ტურნეს ჩაატარებს ლათინურ ამერიკაში (ჩილი, ურუგვაი, არგენტინა, მექსიკა).

გრძელდება მატჩები ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასზე. 5 აპრილს პოლონეთში, ხოლო 8 აპრილს მოსკოვში ცსკა-ს ფრენბურთელი ქალები ეთამაშებიან აზს-ავფ-ს (პოლონეთი), 6 აპრილს სოფიაში ჩატარდება მოსკოვის „დინამოსა" და ბულგარეთის „ლევსკის" ფრენბურთელ ქალთა გუნდების განმეორებითი მატჩი, ხოლო სსრ კავშირის 1965 წლის ჩემპიონები — ცსკა-ს ფრენბურთელი ვაჟები ორ შეხვედრას გამართავენ რუმინეთის „რაპიდთან" (10 აპრილს ბუქარესტში, ხოლო 16-ში — მოსკოვს).

დევისის თასზე შეჯიბრებისთვის გაძლიერებით ემზადებიან სსრ კავშირის ჩოგბურთელები. პირველ ორთაბრძოლას ისინი ჩაატარებენ 7-10 აპრილს რუმინეთში ადგილობრივ სპორტსმენებთან. წარმატების შემთხვევაში საბჭოთა ჩოგბურთელების მომავალი მეტოქე იქნება იტალიის გუნდი.

საინტერესო შეხვედრები ელით ჩვენს მოჭიდავეებს. ისინი გამოვლენ ორ საერთაშორისო ტურნირში (უნგრეთსა და ჩეხოსლოვაკიაში), ორი კვირის განმავლობაში თავისუფლების კუნძულზე ჩაატარებენ ერთობლივ წვრთნას კუბელ მოჭიდავეებთან. 9-13 აპრილს ვენელი სპორტის მოყვარულები ნახავენ 5 კონტინენტის უძლიერეს მოფარიკავეთა ასპარეზობას: აქ ჩატარდება ახალგაზრდების მსოფლიო ჩემპიონატი. დიდ საერთაშორისო ტურნირში (22-24 აპრილი) მონაწილეობის მისაღებად საფრანგეთს გაემგზავრებიან საბჭოთა ესპადრონისტები.

მსოფლიო პირველობისათვის საბჭოთა ძალოსნების მზადების ერთ-ერთი მორიგი ეტაპი იქნება მათი ტურნე აფრიკაში. 7-12 აპრილს მოეწყობა საბჭოთა და ალჟირელ ძალოსანთა შეჯიბრება. ამის შემდეგ ჩვენი ათლეტები შეხვდებიან არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკის ეროვნულ ნაკრებს (13-18 აპრილი).

ორ საერთაშორისო ტურნირში მიიღებენ მონაწილეობას საბჭოთა ხუთჭიდელები — 10-14 აპრილს ალმა-ათაში და 17-21 აპრილს — ერევანში. სომხეთის დედაქალაქში რსფსრ-ს, აზერბაიჯანის, სომხეთის, უკრაინის, უნგრეთის, გდრ-ისა და გფრ-ის გუნდებთან ერთად იასპარეზებს საქართველოს ნაკრებიც.

აპრილში სტარტს აიღებენ ველოსიპედისტები. სსრ კავშირის ბევრ ქალაქში გაიმართება მრავალდღიანი საგზატკეცილო რბოლები. 21 აპრილს, მომავალი XIX მშვიდობის ველორბოლის ტრასაზე საწვრთნელი ვარჯიშის ჩასატარებლად გავლენ სსრ კავშირის ნაკრები გუნდის წევრები — მშვიდობის ველორბოლაში ექვსგზის გამარჯვებულნი.

საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდს ექნება ორი მეტად სერიოზული შეხვედრა: 20 აპრილს იგი ითამაშებს ბაზელში შვეიცარიის ნაკრებთან, ხოლო 27-ში, ვენაში — ავსტრიის ნაკრებთან.



## თბილისის „ბურევესტნიკი" — უმაღლეს ლიგაში

კალათბურთი

ბაქო, 4 აპრილი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). დასასრულს უახლოვდება „ა" კლასის II ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი ტური. გუშინ სენსაციური შედეგით აღინიშნა ტურნირის ლიდერის — ალმა-ათის „ლოკომოტივისა" და როსტოვის „სპარტაკის" შეხვედრა. აუტსაიდერმა დამაჯერებლად მოუგო ლიდერს — 80:70.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელებმა სძლიეს მოსკოვის „ბურევესტნიკს" — 61:50 (33:18).

დანარჩენ შეხვედრათა შედეგები ასეთია: „კანალსტროი" (დონეცკი) —„პლასტიკასი" (ვილნიუსი) 62:57, აზერბაიჯანის ნავთობისა და ქიმიის ინსტიტუტი (ბაქო) — „სპარტაკი" (მოსკოვის ოლქი) 75:44.

ბაქო, 4 აპრილი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). დღევანდელ შეხვედრებში უაღრესად პრინციპული (და ამიტომ საინტერესოც!) გახლდათ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და ალმა-ათის „ლოკომოტივის" მატჩი. თბილისელებს მხოლოდ გამარჯვების შემთხვევაში ეხსნებოდათ უმაღლესი ლიგის შლაგბაუმი, ხოლო „ლოკომოტივი" წაგების შემდეგ სანუკვარი ოცნებისკენ მიმავალ გზაზე ძალიან მუხრუჭდებოდა.

თბილისელები უმთავრესად ასეთი შემადგენლობით თამაშობდნენ: ა. ლეჟავა, მინაშვილი, ი. ლეჟავა, ლომაძე, კოვალენკო. 34-ე წამზე ანგარიში გახსნა ლომაძემ და გაჩაღდა მეტისმეტად მწვავე ბრძოლა. მეორე ტაიმის მე-14 წუთამდე იგი თანაბრად მიმდინარეობდა, მაგრამ საბოლოოდ გამარჯვება თბილისელებს დარჩათ — 60:51. ამრიგად, თბილისის „ბურევესტნიკი" დაუბრუნდა „ა" კლასის უმაღლეს ლიგას.

სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: „ბურევესტნიკი" (მოსკოვი) — „სპარტაკი" (მოსკოვის ოლქი) — 70:56, „სპარტაკი" (მინსკი) — „სპარტაკი" (როსტოვი) — 75:64, ნავთობისა და ქიმიის ინსტიტუტი (ბაქო) — „კანალსტროი" (დონეცკი) — 59:44.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 5 აპრილისთვის

| | თ. | მ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| ნავთ. და ქიმიის ინს. (ბაქო) | 7 | 6 | 1 | 6 |
| სპი (თბილისი) | 8 | 6 | 2 | 6 |
| „ლოკომ". (ალმა-ათა) | 7 | 5 | 2 | 5 |
| „სპარტაკი" (მინსკი) | 7 | 4 | 3 | 4 |
| „კანალსტროი" (დონეცკი) | 8 | 3 | 5 | 3 |
| „ბურევესტნიკი" (მოსკ.) | 8 | 3 | 5 | 3 |
| „პლასტიკასი" (ვილნიუსი) | 7 | 2 | 5 | 2 |
| „სპარტაკი" (მოსკ. ოლქი) | 7 | 2 | 5 | 2 |
| „სპარტაკი" (როსტოვი) | 7 | 2 | 5 | 2 |

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: თბილისის გუნდისა და როსტოვის „სპარტაკის" თამაშის მომენტი.

ფოტო ფ. რაჭაბლისა.

# მიმდინარეობს სპარტაკიადები

## დაწინაურდნენ მომავალი აგრონომები

## ბრძოლაში ჩაება 13 ფაკულტეტი

ორ კვირაზე მეტია, რაც თბილისის უმაღლესი სასწავლებლების სპორტდარბაზებსა და მოედნებზე მიმდინარეობს შიდასაკოლექტივო სპარტაკიადები, რომლებიც წინ უსწრებს სტუდენტთა რესპუბლიკურ და საკავშირო საზაფხულო თამაშებს. ამჟამად ძალებს ცდიან უნივერსიტეტის, სასოფლო-სამეურნეო, პედაგოგიური, პოლიტექნიკური, სამედიცინო, ფიზკულტურისა და სხვა ინსტიტუტების ფიზკულტურელები.

შიდასაკოლექტივო სპარტაკიადების პროგრამა სპორტის მრავალ სახეობას მოიცავს. ერთმანეთს ეჯიბრებიან მძლეოსნები, ფეხბურთელები, მოჭადრაკენი, მოჭიდავენი, ნიჩბოსნები, კალათბურთელები...

დღეს მოგითხრობთ 2 უმაღლესი სასწავლებლის — სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტისა და უნივერსიტეტის სპარტაკიადების მიმდინარეობაზე...

**სასოფლო - სამეურნეო ინსტიტუტში** სტარტზე გამოვიდა 6 ფაკულტეტის 600 სპორტსმენი. პირველობისთვის ბრძოლა უმთავრესად მიმდინარეობს მექანიზაციისა და აგრონომიული ფაკულტეტების წარმომადგენელთა შორის. ოთხ სახეობაში დამთავრებული შეჯიბრებების შემდეგ 7 საჯარიმო ქულით დაწინაურდნენ მომავალი აგრონომები, რომლებმაც გაიმარჯვეს ძალოსნობაში, ხოლო ფრენბურთში (ქალები), მაგიდის ჩოგბურთსა და ჭადრაკში II ადგილები დაიკავეს.

მექანიზატორებმა I ადგილები მოიპოვეს ჭადრაკსა და მაგიდის ჩოგბურთში, II — ძალოსნობაში, მაგრამ ფრენბურთელთა შეჯიბრებაში მხოლოდ V ადგილზე აღმოჩნდნენ და ლიდერებს 2 საჯარიმო ქულით „აჯობეს". ფრენბურთელ ქალებში I ადგილი არავის დაუთმო სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკისა და ორგანიზაციის ფაკულტეტმა.

სპარტაკიადა გრძელდება...

**უნივერსიტეტში** სტუდენტთა II თამაშების პროგრამაში 16 სახეობა შედის. გამარჯვებისთვის ბრძოლაში ჩაება 13 ფაკულტეტი (სპარტაკიადა ტარდება ორ ჯგუფად). I ჯგუფში უკვე გამოვლინდნენ გამარჯვებულნი ფარიკაობაში და ხელბურთელ ქალებში. ორივე სახეობაში ყველას აჯობეს ეკონომიკის ფაკულტეტის სპორტსმენებმა.

II ჯგუფში მოფარიკავეთა შორის წარმატება წილად ხვდათ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის წარმომადგენლებს, ხოლო ხელბურთში — ფილოლოგებს.

ბრძოლაში ჩაებნენ კალათბურთელები და ფეხბურთელები...

**ფ. ლეონიძე.**

---

## აქედანვე ვემზადოთ სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადისთვის

# ყურადღება მივაქციოთ ტექნიკუმებს

თბილისის სპორტკავშირის გადაწყვეტილებით, წლეულს პირველად ჩატარდა ჩვენი დედაქალაქის ტექნიკუმების სპარტაკიადა, რომელიც საქართველოს კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობას მიეძღვნა.

ამ ბოლო წლებში საგრძნობლად გაიზარდა ტექნიკუმების რიცხვი. შესაბამისად იმატა მოსწავლეთა რაოდენობამაც. ამჟამად ამ სასწავლებლებში სწავლობს ჩვენი სპორტსმენი ახალგაზრდობის გარკვეული ნაწილი, რომელთა ოსტატობის ამაღლებისთვის აუცილებელია სხვადასხვა შეჯიბრებაში სისტემატური მონაწილეობა. სწორედ ეს იყო სპარტაკიადის გამართვის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი. ამას გარდა, შეჯიბრებებს უნდა გამოევლინებინა, რა დონეზე დგას ტექნიკუმებში ფიზკულტურული მუშაობა და როგორ არიან მომზადებული ახალგაზრდა სპორტსმენები ამ სასწავლებლების წლევანდელი საკავშირო და სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადებისთვის.

ასპარეზობაში დედაქალაქის 9 ტექნიკუმის 700-ზე მეტი სპორტსმენი მონაწილეობდა. შეჯიბრება მოეწყო ფრენბურთში, კალათბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, მძლეოსნობაში, ველოსპორტში, სპორტულ ტანვარჯიშსა და ცურვაში. სპარტაკიადის მონაწილეებს დაეთმოთ საუკეთესო ბაზები, შეჯიბრებებს არბიტრობდნენ საკავშირო კატეგორიის მსაჯები...

სპარტაკიადაში კარგად მომზადებული და ორგანიზებულად გამოვიდა მანქანათსაშენი ტექნიკუმის ფიზკულტურული კოლექტივი, რომელმაც საერთო გუნდურ ჩათვლაში I ადგილი დაიკავა (დირექტორი მ. ჯიბუტი, ფიზიკური აღზრდის უფროსი მასწავლებელი ფ. ყარალაშვილი) განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ უმრავლეს სახეობებში ამ ტექნიკუმის გუნდებმა გაიმარჯვეს. II ადგილი დაიკავეს პოლიტექნიკური ტექნიკუმის სპორტსმენებმა (დირექტორი ნ. გიორგობიანი, ფიზიკური აღზრდის უფროსი მასწავლებელი კ. ღლონტი), ხოლო III ადგილი წილად ხვდა მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმის ფიზკულტურულ კოლექტივს (დირექტორი გ. სუთიძე, ფიზიკური აღზრდის უფროსი მასწავლებელი ლ. კაპიტანოვი).

კარგად გამოვიდნენ ტანმოვარჯიშეები ნ. ჩანტლაძე, ლ. ლაკტიონოვი, ზ. ბედიაშვილი, მ. ექიზაშვილი, მძლეოსნები ნ. აბრამიშვილი, ვ. ტარანი, ლ. ტუღულაშვილი, ნ ტრისმეჩისტოვი, ო. მარსაგიშვილი, მოცურავეები ი. სალდიანი და ა. კუზნეცოვი.

სპარტაკიადის შედეგების ანალიზმა ცხადყო ისიც, რომ მთელ რიგ ტექნიკუმებში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა დაბალ დონეზე დგას. ეს, პირველ ყოვლისა, ითქმის საფინანსო-ეკონომიურ ტექნიკუმზე, რომელიც ბოლო, IX ადგილზე გავიდა (დირექტორი ი. ამირანაშვილი, ფიზიკური აღზრდის უფროსი მასწავლებელი ნ. კანჯარაძე) და საბჭოთა ვაჭრობის ტექნიკუმზე (დირექტორი რ. ზუმბურიძე, ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი ა. მახათაძე), რომელმაც VIII ადგილი დაიკავა. ისიც უნდა ითქვას, რომ პირველმა სპარტაკიადაში 5 გუნდი ვერ გამოიყვანა, მეორემ კი — 4. ამ ტექნიკუმების ვერც ერთმა გუნდმა ვერ დაიკავა საპრიზო ადგილი და საერთო გუნდურ ჩათვლაში მიიღო ხუთჯერ მეტი საჯარიმო ქულა, ვიდრე გამარჯვებულმა.

არადამაკმაყოფილებელი შედეგები აჩვენეს, აგრეთვე, ტოპოგრაფიული (დირექტორი რ. ჩიჩუაშვილი, ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი ნ. მიროტაძე) და კოოპერაციული (დირექტორი გ. ლეკიაშვილი, ფიზიკური აღზრდის უფროსი მასწავლებელი შ. გონენაშვილი) ტექნიკუმების ფიზკულტურულმა კოლექტივებმა.

იმ გარემოებას, რომ ტექნიკუმებში სპორტული მუშაობა სათანადო დონეზე არ დგას, ადასტურებს ანალიზი სახეობათა მიხედვითაც: სპარტაკიადაში მონაწილე 9 ტექნიკუმიდან ექვსმა ცურვაში (შედეგებზე რომ არაფერი ვთქვათ) ვერც ერთი ქალი ვერ გამოიყვანა, ვაჟთა სრული გუნდები კი მხოლოდ მანქანათსაშენმა და ინდუსტრიულმა ტექნიკუმებმა წარმოადგინეს. კოოპერაციული ტექნიკუმის მოცურავეებმა მხოლოდ ერთ სახეობაში — 4 × 100 მ ესტაფეტაში აჩვენეს დრო, რომელიც ქულათა ცხრილში 27 ქულას შეეფარდება. მათ არც საფინანსო-ეკონომიური და საბჭოთა ვაჭრობის ტექნიკუმის მოცურავეები „ჩამორჩნენ" და შესაბამისად 70 და 74 ქულა დააგროვეს, მაშინ, როცა მანქანათსაშენი ტექნიკუმის მოცურავეთა გუნდმა 3085 ქულით გაიმარჯვა. თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ არც ამ კოლექტივის სპორტსმენებს ჰქონდათ მაინცდამაინც მაღალი მაჩვენებლები (II თანრიგის მხოლოდ 3 შედეგი).

მძლეოსნობაში გუნდი არ გამოიყვანეს საფინანსო-ეკონომიურმა და საბჭოთა ვაჭრობის ტექნიკუმებმა. 110 მ თარჯრბენში, რომელშიც 6 მძლეოსანი მონაწილეობდა, გამარჯვებულის დროა 19,7, რაც ჭაბუკთა III თანრიგსაც კი არ შეესაბამება, ხოლო დანარჩენების მაჩვენებლები იმდენად დაბალია, რომ მათზე ქულა მძლეოსნობის ქულათა ცხრილში საერთოდ არ არის გათვალისწინებული. უკეთესი მდგომარეობა არც შუბის ტყორცნაში იყო (ქალთა შორის). ამ სახეობაში მხოლოდ 1 სპორტსმენი გამოვიდა და მანაც შუბი ტყორცნა... 27,32 მეტრზე.

საგზატკეცილო ველოსპორტში 4 ტექნიკუმის 7 ქალი და 21 ვაჟი ასპარეზობდა. მათგან ხუთმა აჩვენა III თანრიგის შედეგი. შეჯიბრებაში არ გამოსულან ინდუსტრიული, საბჭოთა ვაჭრობის, ტოპოგრაფიული და საფინანსო-ეკონომიური ტექნიკუმების სპორტსმენები, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ამ სასწავლებლებში ველოსპორტის განვითარებას ყურადღება არ ექცევა.

რომ სახარბიელო მდგომარეობა არც სპორტთამაშებშია, ამას კალათბურთის მატჩების უჩვეულო შედეგები ადასტურებს. საბჭოთა ვაჭრობის ტექნიკუმის ქალებმა საფინანსო-ეკონომიური, პოლიტექნიკური, მსუბუქი მრეწველობისა და მანქანათსაშენი ტექნიკუმების გუნდებთან შეხვედრები წააგეს ანგარიშით 2:20, 7:50, 0:22(!?), პოლიტექნიკური ტექნიკუმის ქალთა გუნდმა კი კოოპერაციული ტექნიკუმის კოლექტივს სძლია ანგარიშით... 50:1.

ანალოგიური კურიოზები ფრენბურთშიც იყო. მანქანათსაშენი ტექნიკუმის ქალებმა ორივე პარტია „მშრალი" ანგარიშით მოუგეს საფინანსო-ეკონომიური ტექნიკუმის გუნდს, ხოლო მანქანათსაშენი ტექნიკუმის ვაჟებმა ორივე პარტიაში ერთნაირი ანგარიშით — 15:2 სძლიეს საბჭოთა ვაჭრობის ტექნიკუმის ფრენბურთელებს.

სპარტაკიადის შედეგების შეფასებისას იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ, მცირე გამონაკლისის გარდა, ტექნიკუმებში სპორტს სათანადო ყურადღება არ ეთმობა. თუ ამ სასწავლებლებში ფიზკულტურული მუშაობა მკვეთრად არ გაუმჯობესდა, საეჭვოა, რომ მათი სპორტსმენებიდან ბევრი გამოვადგეს საქართველოსა და სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადებში მონაწილე თბილისის ნაკრები გუნდების დასაკომპლექტებლად.

**მ. ზეზელია,**
თბილისის სპორტკავშირის თავმჯდომარის მოადგილე, სპარტაკიადის მთავარი მსაჯი.

---

# რეზერვის კიდევ ერთი წყარო

მოსწავლეთა საგაზაფხულო არდადეგების დღეებში თბილისის „დინამოს" სტადიონზე გაიმართა საქართველოს სკოლა-ინტერნატების მძლეოსანთა პირველი შეჯიბრება. სირბილში, ხტომასა და ტყორცნაში ერთმანეთს ეჯიბრებოდა 186 მოსწავლე. ტურნირმა გამოავლინა ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა, რომელთაც, ცუდი ამინდის მიუხედავად, კარგი შედეგები მოიპოვეს. მაგალითად, 13 წლის ნ. თავართქილაძემ (მახარაძე) 60 მ 8,9 წამში გაირბინა, ხოლო 14 წლის ზ. დებისოვამ (გურჯაანი) — 8,7-ში.

უმცროსი ასაკის ბიჭებში რ. ნადარიშვილმა (გურჯაანი) იგივე მანძილი 7,4 წამში გაირბინა. უფროსი ასაკის მოსწავლე ვაჟთა შორისაც გურჯაანელს — გ. სიბაშვილს ხვდა გამარჯვება — 7,1. მან მოზარდთა II თანრიგის ნორმა შეასრულა.

თუ რბენაში გურჯაანელთა უპირატესობა იყო აშკარა, ტყორცნაში დუშეთის რაიონის მოსწავლეებმა ისახელეს თავი. 700-გრამიანი ხელყუმბარის ტყორცნაში უფროსი ასაკის ჭაბუკთა შორის გაიმარჯვა ტ. ჯავახიშვილმა (დუშეთი) — 60,40, 500-გრამიანი ხელყუმბარის ტყორცნა კი კასპელმა ზ. კუდუხაშვილმა მოიგო — 65,24. მას ცოტათი ჩამორჩა ბარისახოელი გ. არაბული — 64,15. უმცროსი ასაკის გოგონებში ყველას აჯობა ც. პატარაშვილმა (ახმეტა) — 45,70, უფროს ასაკში — ბარისახოელმა ნ. ჯაბანაშვილმა — 41,53.

აღსანიშნავია, რომ უმცროსი ასაკის გოგონებში მოასპარეზე სამტრედიელი ა. ისაკიანი 424 სმ-ზე გადახტა.

ტურნირში სკოლა-ინტერნატების 32 გუნდი მონაწილეობდა. საერთო ჩათვლაში გაიმარჯვა ქობულეთის რაიონის ჩაისუბნის სკოლის (დირექტორი ვ. ყურშუბაძე, ფიზაღზრდის მასწავლებელი გ. ფირცხალაშვილი) კოლექტივმა. II ადგილზე გავიდა გურჯაანის (ო. ოყროშიძე, ო. ქაქაშვილი), III კი — დუშეთის რაიონის ბარისახოს სკოლის (გ. ნარიმანიძე, ტ. ქართველიშვილი) გუნდები.

მოსწავლეებს, რომელთაც ამ შეჯიბრებაში გამოიჩინეს თავი, ახალი სასწავლო წლიდან ფართოდ გაუღებს კარს საქართველოს განათლების სამინისტროს სპეციალური სპორტული სკოლა-ინტერნატი.

**გ. ტახტაროვი,**
შეჯიბრების მთავარი მსაჯი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

* * *





**სურათებზე:** ზევით — ქობულეთის რაიონის ჩაისუბნის სკოლა-ინტერნატის XI კლასის მოსწავლე ი. ჩხაიძე ასპარეზობისას; ქვევით — გურჯაანელი გ. სიბაშვილი ფინიშთან.

ფოტო ი. იუნაევისა.

---

# 40 წლისაა

ბათუმის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმს ამას წინათ 40 წელი შეუსრულდა. ამ ოთხი ათეული წლის მანძილზე სასწავლებელმა მოამზადა სოფლის მეურნეობის მრავალი ათასი სპეციალისტი, რომელნიც დღეს წარმატებით შრომობენ საქართველოს სოფლებსა და რაიონებში.

ტექნიკუმი ცნობილია სპორტული ტრადიციებითაც. კურსდამთავრებულთა უმეტესობა სპორტის სხვადასხვა სახეობის თანრიგოსანია, სხვებს კი მეთ ნიშნოსანთა ნორმატივები აქვთ შესრულებული.

ტექნიკუმელები ტრადიციებს არ ღალატობენ. აქ მუშაობს ფეხბურთის, კალათბურთის, მაგიდის ჩოგბურთის, ჭადრაკის, შაშის, ტურიზმის, კლასიკური და თავისუფალი სტილის ჭიდაობის სექციები. საქართველოს 1965 წლის პირველობაზე მაგიდის ჩოგბურთში სოფლის მეურნეობის ტექნიკუმებს შორის ბათუმელებმა ყველა შეხვედრა მაღალ დონეზე ჩაატარეს, 30-მდე ნაკრები უკან მოიტოვეს და დამსახურებულად მოიპოვეს ჩემპიონის საპატიო სახელი.

საოლქო და რესპუბლიკურ ასპარეზობებში წარმატებით გამოდიან ფრენბურთელები და კალათბურთელები.

„კოლმეურნის" აჭარის საოლქო საბჭოს პირად-გუნდურ პირველობაზე კლასიკურ ჭიდაობაში ტექნიკუმის ფალავნებმა II ადგილი დაიკავეს. ჭიდაობა საერთოდ დიდი პოპულარობით სარგებლობს ტექნიკუმის მოსწავლეებში. ახლახან ამ სახეობის მოყვარულებმა ახალი საჭიდაო დარბაზი მიიღეს.

სასწავლებელს ბევრი კარგი სპორტსმენი ჰყავს, რომლებიც სწავლაშიც მოწინავენი არიან. სპორტულ საქმიანობას ტექნიკუმში უნარიანად წარმართავს ფიზაღზრდის მასწავლებელი, სპორტის ოსტატი ნ. ჭანუყვაძე.

ტექნიკუმელები ახლა ენერგიულად ემზადებიან სოფლის სპორტსმენთა III საკავშირო სპარტაკიადისთვის.

**ო. მურვანიძე.**
(ჩვენი კორ.).

ბათუმი.

---

# მისაბაძი თაოსნობა

## ფიზაღზრდის საჩვენებელი გაკვეთილი

ზესტაფონის რაიონის განათლების განყოფილების ფიზიკური აღზრდის მეთოდური საბჭოს (თავმჯდომარე გ. კვეტენაძე), პედაგოგიური კაბინეტის (გამგე ი. სამხარაძე) და ბავშვთა სპორტსკოლის (დირექტორი ა. კვესიტაძე) თაოსნობით სოფელ ქვედა საზანოს პირველ რვაწლიან სკოლაში ჩატარდა საჩვენებელი გაკვეთილი ფიზიკურ კულტურაში. გაკვეთილის მიზანი იყო რაიონის სკოლების ფიზიკური აღზრდის მასწავლებლებისთვის ეჩვენებინათ, თუ როგორ უნდა ხდებოდეს მოსწავლეთა ფიზიკური დატვირთვა საკლასო ოთახში მეცადინეობისას (უამინდობის პირობებში და როცა სკოლას სპორტდარბაზი არ გააჩნია).

გაკვეთილი ჩაატარა უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტმა, ფიზაღზრდის მასწავლებელმა ვ. ჭანტურიძემ. საჩვენებელ გაკვეთილზე, რომელსაც რაიონის თითქმის ყველა მასწავლებელი ესწრებოდა, მოხდენილად იყო შერწყმული თეორიული და პრაქტიკული ნაწილი. ყველა მოსწავლე ზომიერად დატვირთა. ქრონომეტრაჟული დაკვირვებით დადგინდა, რომ უქმად მხოლოდ 2-3 წუთი დაიკარგა. ეს კი უმნიშვნელოა არა მარტო საკლასო ოთახში, არამედ დარბაზში ან ღია მოედანზე ფიზიკური აღზრდის გაკვეთილის ჩატარების დროსაც.

შემდგომ მოეწყო აზრთა გაზიარება, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ფიზიკური აღზრდის მასწავლებლებმა: ბ. ღიბრაძემ, ნ. ქვირიკაშვილმა, დ. ლეჟავამ, ს. ღიბრაძემ, მოზრდილთა სპორტსკოლის დირექტორმა შ. გეწაძემ, ი. სამხარაძემ, საზანოს პირველი რვაწლიანი სკოლის დირექტორმა შ. ჭავახიანმა, ა. კვესიტაძემ, გ. კვეტენაძემ და სხვ.

ამ მისაბაძმა ღონისძიებამ მასწავლებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

**ა. ბანუჩავა.**
(ჩვენი კორ.).

ზესტაფონის რაიონი.

# საუბარი მსოფლიო ჩემპიონთან

### აას-ის სპეციალური კორესპონდენტი სტუმრად დიდოსტატ ტ. პეტროსიანთან

ახალი ამბების სააგენტოს სპორტულმა რედაქციამ მთხოვა დამეწერა როგორ ატარებს მატჩისწინა დღეებს ტ. პეტროსიანი. მსოფლიო ჩემპიონი ბ. სპასკისთან ორთაბრძოლისთვის მარტის დამლევამდე მოსკოვის ახლო, დასასვენებელ სახლ „კრასნაია პახრაში“ ემზადებოდა.

პირველი, ვისაც შევხვდი, მისი მწვრთნელი დიდოსტატი ი. ბოლესლავსკი იყო.

— მსოფლიო ჩემპიონის სპეციალური მომზადება მატჩამდე ერთი თვით ადრე დამთავრდა, — თქვა ბოლესლავსკიმ. — პეტროსიანმა მონაწილეობა მიიღო 6 დიდოსტატის საწვრთნელ ტურნირში, რომელიც ორ წრედ ჩატარდა. ჩემპიონის მეტოქეები იყვნენ ვ. კორჩნოი, ი. ავერბახი, ვ. სიმაგინი, ლ. შამკოვიჩი და მე. ტიგრანმა I ადგილი დაიკავა. შემდეგ ჩვენ მთელი დატვირთვით ვმეცადინეობდით. ახლა კი მთავარია აქტიური დასვენება — ორი თვის მანძილზე დაძაბული გონებრივი მუშაობა გვქონდა.

— ახლა სადაა ტიგრანი? — დავინტერესდი მე.

— დაიგვიანეთ. იგი უკვე თხილამურებით სასრიალოდ წავიდა.

მეც დავდექი თხილამურებზე და, მწვრთნელის რჩევით, თოვლში გაკვალულ გზას გავყევი. მალე ტყეში მოთხილამურეს მოვკარი თვალი. ყავისფერი სვიტერი ეცვა, ცისფერი ქუდი ეხურა და მკერდზე ფოტოაპარატი ეკიდა. ეს მოთხილამურე პეტროსიანი იყო.

— ჩამიდექით კვალში, — შემომთავაზა მან, ჩემი სტუმრობის მიზანი რომ გავუმხილე. — ხედავთ, რა ამინდია! საუბარს მოვასწრებთ.

მართლაც, ჩინებული ამინდი იდგა: გაზაფხულის კაშკაშა მზე, სუსხი, შესანიშნავი სასრიალო.

მოგეხსენებათ, სპორტული მიმომხილველი თხილამურებსაც უნდა ფლობდეს. მაგრამ მე, ცოტა არ იყოს, გამიჭირდა პეტროსიანის მხარდამხარ სრიალი. მსოფლიო ჩემპიონი შესანიშნავ სპორტულ ფორმაშია. გამოცდილ მოთხილამურესავით მსუბუქად, მტკიცედ, ენერგიულად მიდიოდა. დროდადრო წუთით შეჩერდებოდა, რომ პეიზაჟი გადაეღო.

— ფოტოგრაფია ჩემი ახალი გატაცებაა, — მითხრა ტიგრანმა. — ამ ზამთარს გული ვიჯერე. ეს კია, ძალიან მინდოდა სუსხიან და მზიან ამინდში სტვენია გადამეღო ფერად ფირზე, მაგრამ ვერ იქნა და ვერ მოვახერხე. უაპარატოდ რომ გამოვიდოდი, სტვენიები ყოველ ნაბიჯზე მხვდებოდნენ. აპარატს წამოვიღებდი თუ არა, მათი ჭაჭანებაც აღარსად იყო.

სწორი ტრასა, რომელიც არყის ხის ერთიანად თეთრად მოელვარე, მშვენიერ ტყეში გადიოდა, უეცრად ციცაბო დაღმართმა შეცვალა და პეტროსიანმა მკვეთრად უკლო სისწრაფეს.

— სიფრთხილე, უპირველეს ყოვლისა! — გადმომძახა ღიმილით.

რამდენიმე საათმა შეუმჩნევლად გაირბინა. დასასვენებელ სახლში რომ დავბრუნდით, მსოფლიო ჩემპიონს ვთხოვე რამდენიმე კითხვაზე ეპასუხნა.

— მხოლოდ, გთხოვთ, ჭადრაკის ხსენებაც არ იყოს, — მოითხოვა ბოლესლავსკიმ.

— როდის ისწავლეთ თხილამურებით სიარული? — ვკითხე პეტროსიანს.

— ალბათ, იცით, მე თბილისის მკვიდრი ვარ. იქ თოვლიანი ზამთარი საგანგებო მოვლენაა. 1944 წელს კი, როცა დავობლდი, დიდი თოვლი მოვიდა, მაშინ მან დიდი უსიამოვნება მომიტანა.

მოსკოვში რომ დავსახლდი, დიდხანს ვერ დავძლიე ეს უსიამოვნო გრძნობა თოვლისა და სიცივისადმი. მერე კი თანდათან შევეჩვიე, შევიყვარე რუსული ზამთარი და თხილამურებზეც დავდექი. თავდაპირველად მიჭირდა, მაგრამ, როგორც ხედავთ, ვისწავლე. ახლა მთელი ოჯახი — მე, ჩემი მეუღლე და ორი შვილი ყოველ ზამთარს ვერთობით თხილამურებით. მხოლოდ ციცაბო თავდაღმართებში ვერ ვგრძნობ თავს მაინცდამაინც თამამად. თუმცა, ეს თქვენ თავად ნახეთ.

— ციგურებით თუ სრიალებთ?

— ციგურებთან მწყრალად ვარ. სამწუხაროა, რასაკვირველია, მაგრამ ამ შემთხვევაში გულშემატკივრის როლით ვიფარგლები. ყურადღებით ვადევნებ თვალს ასპარეზობებს სარბენ ბილიკებზე, ფიგურულ სრიალს, განსაკუთრებით კი ჰოკეი მიყვარს. ვისზე შემტკივა გული? ისევე, როგორც ფეხბურთში, ჩემი სიმპათიები აქაც უცვლელია: „სპარტაკის“ ძველი ქომაგი ვარ.

— კიდევ რით ხართ გატაცებული?

— დასვენების პერიოდში ფსიქოლოგიური მომზადებისთვის დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ ბილიარდს. ხომ იცით, საპასუხისმგებლო შეჯიბრების წინ ნერვები უკიდურესობამდე დაძაბულია. ამიტომ, აუცილებელია ნერვულ ენერგიას გაუფრთხილდე, მთავარია დაივიწყო და არ იფიქრო მოსალოდნელ ასპარეზობაზე, რათა, როგორც სპორტსმენები ამბობენ, „არ გადაიწვა“. ბილიარდი კი აქტიური დასვენების შესანიშნავი საშუალებაა: თამაშის დროს გამუდმებით უვლით მაგიდას და გამოდის, რომ რამდენიმე კილომეტრს გადიხართ.

— მართლა, — გამახსენდა უცებ, — წამიკითხავს, რომ ნონა გაფრინდაშვილი კარგად თამაშობს ბილიარდს: მწვანე მაგიდაზე თვით ბოტვინიკიც დაუმარცხებია.

— ბოტვინიკი მოჭადრაკეებს შორისაც კი არ არის დიდი ავტორიტეტი ბილიარდში. მე ნონასთან მხოლოდ ერთხელ მითამაშია. წავაგე, მაგრამ მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი, უახლოეს დროში ავიღო რევანში.

ვუსმენდი ჩემპიონს და უნებლიედ ვფიქრობდი: ჭადრაკის მეფე უკეთ თამაშობს ბილიარდს თუ დედოფალი?

პეტროსიანის ოთახი წიგნებითაა სავსე. მხოლოდ საჭადრაკო ლიტერატურას ვერსად მოვკარი თვალი. ჭადრაკიც დაუმალავთ, დაუმალავთ შეგნებულად, რომ თამაშის გემო არ დაიკარგოს. წინ ხომ 24 პარტიაა!

— ვკითხულობ ცოტ-ცოტას, მაგრამ ვცდილობ არ დავიღალო, — ამბობს პეტროსიანი, — უფრო პოეტებს — კლასიკოსებსა და თანამედროვეებს ვარჩევ. ახლახან, მაგალითად, სიამოვნებით გადავიკითხე ფეტი.

გაზეთებსა და ჟურნალებს შორის შევამჩნიე პროფესორ ვ. ასმუსის წიგნი „ინტუიციის პრობლემა ფილოსოფიასა და მათემატიკაში“. ამას წინათ ასეთი წიგნი მეც შევიძინე. პეტროსიანმა ჩემი მზერა დაიჭირა:

— ძალიან საინტერესო წიგნია. ახლა მხოლოდ გადავხედე, მატჩის შემდეგ კი გადაწყვეტილი მაქვს, საფუძვლიანად შევისწავლო. ინტუიციის პრობლემას ყოველგვარ შემოქმედებაში და ჭადრაკშიც დიდი მნიშვნელობა აქვს. ზოგჯერ ხდება, დაფაზე ისეთი პოზიცია შეიქმნება, თავს იმტვრევ, დრო კი ძალიან ცოტაა. როგორ გინდა ყველაფერი უცებ გაიანგარიშო? აკეთებ იმ სვლას, რომელიც ერთბაშად, სახელდახელოდ მოგივა აზრად, პარტიის შემდეგ კი ანალიზი გვიჩვენებს, რომ ეს სვლა ერთადერთი აუცილებელი და სწორი იყო. ხომ ხედავთ, — დაამთავრა ღიმილით პეტროსიანმა, — შევთანხმდით, ჭადრაკი არ გვეხსენებინა და მაინც არაფერი გამოვიდა. მატჩისწინა დღეებს სამხრეთში გავატარებ, მინდა ცოტა ხანს მზეზე ვიყო, ზღვით ვისუნთქო...

ვ. როზანოვი.

* * *



სურათზე: ტ. პეტროსიანი (მარცხნივ) და ბ. სპასკი საუბრობენ მატჩის დებულებაზე ხელის მოწერის წინ.

ფოტო ნ. ვოლკოვისა.

## ფინიშთან

საქართველოს ვაჟთა XXVII საჭადრაკო ჩემპიონატში XIII ტურის შემდეგ მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება, რომელმაც ფინიშის წინ სიცხადე შეიტანა ლიდერთა ჯგუფში.

ორ-ორი პარტია დაამთავრეს გურგენიძემ, კერნოჟიცკიმ, ჩიქოვანმა და ჩხაიძემ. გურგენიძემ წააგო ბუსლაევთან და მოუგო ჩიქოვანს. კერნოჟიცკიმ მხოლოდ 0,5 ქულა დააგროვა. მას მოუგო ალექსანდრიამ, ხოლო ჩხაიძესთან ყაიმს დასჯერდა. ჩხაიძემ მეორე პარტია ყაიმით დაამთავრა უბილავასთან. ჩიქოვანმა დაამარცხა გიორგაძე.

## გუშინ...

XIV ტურში ბუსლაევმა მოუგო ბოკუჩავას, ჯინჯიხაშვილმა — ჩაგუნავას, გურგენიძემ — გიორგაძეს, ლომაიამ — ალექსანდრიას, ჩიქოვანმა — გვენცაძეს, უბილავამ — კერნოჟიცკის. თოხაძე — დავითაშვილისა და რაზოვსკი — ჩხაიძის პარტიები ყაიმით დამთავრდა, ხოლო ჩეჩელიან — მუკნიაშვილის შეხვედრა გადაიდო. 14 ტურის შემდეგ ლიდერობენ ბუსლაევი და ჯინჯიხაშვილი (12-12 ქულა). გურგენიძეს 10 ქულა აქვს, ხოლო გიორგაძესა და უბილავას — 9,5-9,5.

## ლ. ჯახუა — ჩემპიონი მასწავლებლებში

მოსწავლეთა არდადეგების პერიოდში თბილისში საასპარეზოდ ჩამოვიდა გორის, ქუთაისის, ცხინვალის, ფოთის, თელავისა და რესპუბლიკის სხვა ქალაქების 47 მასწავლებელი. მოჭადრაკეები სპორტული თანრიგების მიხედვით სამ ჯგუფად დაიყვნენ. მთავარ ტურნირში, რომელსაც უნდა გამოევლინა საქართველოს ჩემპიონი მასწავლებელთა შორის, 22 კაცი მონაწილეობდა.

I-II ადგილები გაიყვეს პირველთანრიგოსნებმა ლ. ჯახუამ (ქუთაისი) და კონკურსგარეშე მონაწილე შ. თოთლაძემ (გორი), რომლებმაც 6,5-6,5 ქულა დააგროვეს. ჩემპიონის სახელი მიენიჭა მათემატიკის მასწავლებელს ლ. ჯახუას, რომელმაც მეორედ მოიპოვა ეს საპატიო წოდება.

III-VI ადგილები 5-5 ქულით გაიყვეს გ. ნიკოშვილმა (ახალციხე), ი. ვაისმანმა (საგარეჯო), კ. გვალიამ (გეგეჭკორი) და მ. კეშიშიანმა (თბილისი).

II ჯგუფში პირველი 3 ადგილი ასე განაწილდა: 1. რ. ალუღლიშვილი (ბოლნისი), 2. ვ. მენდელიანი (თბილისი), 3. გ. ამირხანოვი (ხაშური). გაისად სამივე მოჭადრაკე მონაწილეობას მიიღებს მთავარ ტურნირში.

III ჯგუფში ყველას აჯობა ი. ხანჯალაშვილმა (სიღნაღი). II ადგილზეა გ. მანუკიანი (ბოგდანოვკა), III — გ. კონკრიაშვილი (გორი).

18-მა მონაწილემ შეასრულა ან დაამტკიცა I და II სპორტული თანრიგები.

ხ. გუგუნავა,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

## საქართველოს ჩემპიონატი

# 3 წუთით ადრე

ცხაკაია. ცენტრალური სტადიონი, 3 აპრილი.

„კოლხეთი“ (ცხაკაია) — „შუქურა“ (ქობულეთი) 1:1 (0:1).

„კოლხეთი“ — მარინი, აივაზიანი, ბარკალაია, ჯორბენაძე (გახარია), ჯახაია, დარასელია, ზანინი, აბუთიძე, ქაჩიბაია, ძაგანია, მირონოვი.

„შუქურა“ — ქობულაძე, გოგმაჩიძე, ახალაძე, პატარაია, ვერულიძე, ილურიძე, შონუსი (კაზაკოვი), მღებრიშვილი, მანელაშვილი, დობორჯგინიძე, კბილაშვილი.

მსაჯი ლ. ჯოხაძე (ხაშური).

მეტოქეებმა წარმატებით დაიწყეს საქართველოს ჩემპიონატი, — 2-2 მატჩი მოიგეს. ამიტომ მაყურებლები ინტერესით ელოდნენ გათამაშების ლიდერების შეხვედრას. მათი მოლოდინი გამართლდა: თამაში ჩატარდა სპორტულად დაძაბულ ვითარებაში, საგოლე მომენტებიც ხშირი იყო, მაგრამ დაცვა კარგად უმკლავდებოდა იერიშებს, თუმცა თამაშს ძალიან ართულებდა ნაწვიმარი მინდორი და დამძიმებული ბურთი ხშირად არ ემორჩილებოდა ფეხბურთელებს. მასპინძლებმა 25-ე წუთზე ხელიდან გაუშვეს ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა. სამაგიეროდ, 33-ე წუთზე ქობულეთელმა მანელიშვილმა კარგად ისარგებლა „კოლხეთის“ დაცვის შეცდომით და კარის დაბალ კუთხეში მოათავსა ბურთი. ცხაკაიელთა ეპიზოდურ იერიშებს არ შეურყევია „შუქურა“, რომელმაც ტაიმის ბოლომდე შეძლო საერთო ტერიტორიული უპირატესობის შენარჩუნება.

შესვენების შემდეგ სურათი შეიცვალა. მოედნის სრული ბატონპატრონნი გახდნენ მასპინძლები: „კოლხეთის“ თავდამსხმელები ხშირად საშიფათოდ უტევდნენ მეტოქის კარს, მაგრამ გოლი არ ჩანდა.

... მატჩი დასასრულს უახლოვდებოდა და „შუქურას“ თითქოს გამარჯვება უნდა ეზეიმა, რომ ცხაკაიელმა გახარიამ ძლიერი დარტყმით აღადგინა წონასწორობა — 1:1. ეს მოხდა 87-ე წუთზე.

მაყურებლები შეხვედრით კმაყოფილი დარჩნენ. ანგარიში მართლაც სავსებით შეესაბამებოდა ძალთა თანაფარდობას. აღსანიშნავია, რომ მატჩი ორივე გუნდმა კორექტულად ჩაატარა, რაშიც წვლილი შეიტანა ლ. ჯოხაძის კვალიფიციურმა მსაჯობამ.

ზ. ჯანდიერი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

## ძლიერ წვიმაში...

**ბათუმი,** 4 აპრილი (ჩვენი კორ.). გუშინ აქ გაიმართა საკონტროლო მატჩი ფეხბურთში ადგილობრივი და მინსკის „დინამოს“ თანაკლუბელთა შორის.

ძლიერი წვიმის გამო თამაშის ჩატარება მთავარ სტადიონზე არ მოხერხდა და იგი გადაიტანეს სათადარიგო მინდორზე, თუმცა ამ გარემოებას ფეხბურთის მოყვარულნი არ შეუშინებია: ტრიბუნები სავსე იყო მაყურებლებით.

ბათუმელებმა წარმატებას დასაწყისშივე მიაღწიეს. გიორგაძემ კარგად გამოიყენა მეტოქის დაცვაში დაშვებული შეცდომა და მე-2 წუთზე გახსნა ანგარიში — 1:0. სტუმრებმა მხოლოდ 20 წუთის შემდეგ შეძლეს საპასუხო გოლის გატანა (შიმანოვიჩი).

მეორე ტაიმში ორივე გუნდს ჰქონდა ანგარიშის გაზრდის საშუალება, მაგრამ თავდამსხმელებმა ვერ გამოიყენეს იგი და შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1.

ვ. მოსეშვილი.

## სიმკაცრე ამთავითვე

საკავშირო ჩემპიონატი ფეხბურთში ჯერ არ დაწყებულა. და მიუხედავად ამისა, სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის სპორტულ-ტექნიკურ კომისიას უკვე მოუხდა ოსტატთა კოლექტივების წარმომადგენელთა საკითხის გარჩევა, რომლებმაც უდისციპლინობით გამოიჩინეს თავი.

საკონტროლო მატჩებში დაშვებული უღირსი საქციელისთვის ჩემპიონატის 3 მატჩით მიეცათ დისკვალიფიკაცია ვ. ლობანოვსკის („ჩერნომორეცი“), ს. როჟკოვს („კაირატი“) და ვ. ბარქაიას (თბილისის „დინამო“). თითო თამაშით არიან დისკვალიფიცირებული ვ. ლისიცინი („კაირატი“) და ა. პოპიჩკო („ჩერნომორეცი“).

ფეხბურთი

● **კიშინიოვი,** 3 აპრილი. აქ გაიმართა ევროპის ჭაბუკ ფეხბურთელთა ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი სსრ კავშირისა და რუმინეთის ნაკრებ გუნდებს შორის. მეტოქის კარში საბჭოთა ფეხბურთელის ვ. ბექთაშევის მიერ 67-ე წუთზე გატანილი ბურთი ერთადერთი აღმოჩნდა — 1:0. 10 აპრილს ბუქარესტში გაიმართება ამ გუნდების განმეორებითი შეხვედრა, რომელიც გამოავლენს ფინალის მონაწილეს.

* * *

ამ გათამაშების სხვა მატჩები ასე დამთავრდა: უნგრეთი — ავსტრია 1:0, ჰოლანდია — ბელგია 4:2.

● **მოსკოვი,** 3 აპრილი. წყალქვეშა სპორტის ოსტატთა ასპარეზობა „კოსმონავტების თასზე“ დამთავრდა მოსკოველების ვ. კუზნეცოვასა და ა. კრასნიკოვის გამარჯვებით. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ მოსკოვის, ლენინგრადისა და სხვა ქალაქების წარმომადგენლები. გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობეს დედაქალაქის „ტრუდის“ I ნაკრების სპორტსმენებმა.

# გადამწყვეტი ეტაპის წინ

**ხელბურთი**

მაშ ასე, ხელბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის საწყისი ეტაპი კაუნასის ჯგუფშიც დამთავრდა. ბრძოლები აქ რიგის ჯგუფისაგან განსხვავებით მწვავედ წარიმართა. ქულის დაუკარგავად არც ერთი გუნდი არ დარჩა. მოგვყავს ბოლო კალენდარულ დღეებში გამართული ვაჟთა გუნდების მატჩების შედეგები. III ტური — საავიაციო ინსტიტუტი (მოსკოვი) — „დინამო" (ბაქო) 12 : 14, „ალუმინსტროი" (ზაპოროჟიე) — „სპარტაკი" (მოსკოვი) 15 : 14, „ჟალგირისი" (კაუნასი) — ასკ (კიევი) 24:20; IV ტური — „დინამო" — „სპარტაკი" 16 : 20, საავიაციო ინსტიტუტი — ასკ 28 : 15, „ჟალგირისი" — „ალუმინსტროი" 15 : 12; V ტური — ასკ — „დინამო" 18 : 16, „ალუმინსტროი" — საავიაციო ინსტიტუტი 17 : 16 „ჟალგირისი" — „სპარტაკი" — 21 : 17.

განცვიფრებას იწვევს შარშანდელი ჩემპიონის — მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდის თამაში. მოსკოველებმა წლევანდელი პირველობის სტარტზევე 3 დამარცხება იწვნიეს და 6 ქულა დაკარგეს! აღსანიშნავია, რომ მასპინძლები მხოლოდ 1 ქულით დაზარალდნენ. ეტყობა, „შინაური კედლების" ფაქტორმა კაუნასელთა წარმატებაში გარკვეული წვლილი შეიტანა.

ქულათა მაქსიმუმით გათამაშების ცხრილის სათავეში რიგის ჯგუფში გამარჯვებული თბილისის „ბურევესტნიკი" დგას. ეს წარმატება მას მძიმე ბრძოლების ფასად დაუჯდა. დიდი გამოცდილება რომ არა, შეიძლება საქმე რიგიანად არც წარმართულიყო. თავის დროზე ჩვენ რიგიდან ვიტყობინებოდით, რომ თბილისელები საშეჯიბრებო პერიოდს შედარებით ნაკლებ მომზადებულნი შეხვდნენ. ამის მთავარი მიზეზი ის გახლდათ, რომ სსრ კავშირის ნაკრებში ბურევესტნიკელთა მწვრთნელისა და რიგ მოთამაშეთა კარგა ხნით წასვლამ ჩვენს გუნდს ჩემპიონატისთვის სათანადო მზადებაში დიდად შეუშალა ხელი. რიგაში თბილისელები 5-დან სამ მატჩში დამარცხების აშკარა საფრთხის წინაშე იდგნენ (რიგის „დაუგავასთან", ლენინგრადის „ბოლშევიკთან" და მოსკოვის „კუნცევოსთან") და სამივეჯერ მხოლოდ ბოლო წუთებში თავგანწირული თამაშის მეოხებით გამოგლიჯეს გამარჯვება მეტოქეებს. თანაც ჩვენმა გუნდმა „ცოცხალ ძალაში" ზარალი ნახა: „დაუგავასთან" მატჩში დაშავდა ი. ფხაკაძე. იმ დროს, როცა ჩვენმა გუნდმა, როგორც იქნა, ანგარიში გაათანაბრა (16 : 16), ფხაკაძემ შესანიშნავად წამოიწყო პირველი შეტევა, დიდი სისწრაფით გაიჭრა მეტოქეთა კარისაკენ, მაგრამ რიგელმა მეკარემ ი. ვილსონმა მას გზა გადაუჭრა... მეტოქეები ერთმანეთს შეასკდნენ და მოედნიდან ორივე პირდაპირ საავადმყოფოში გააქანეს... მეორე დღეს ფხაკაძე სათადარიგოთა სკამზე იჯდა და მხოლოდ მომდევნო ტურში შეძლო თამაში. ვილსონი კი მორიგ შეხვედრაში ველოსიპედისტის ჩაფხუტით „მოკაზმული" იცავდა კარს...

რიგაში ჩვენ ოთხ მწვრთნელს ვთხოვეთ დაესახელებინათ ბურევესტნიკელი მოთამაშეები, რომელთაც ნაკრების წევრობის ღირსად თვლიან. მოსკოვის „კუნცევოს" მწვრთნელმა ბ. აკბაშევმა, კრასნოდარელთა მწვრთნელმა ვ სოროკინმა და რიგელთა მწვრთნელმა ქ. ჩებრიკოვმა აბაიშვილი, კარტოზია, ექსეულიძე, ფხაკაძე, ცერცვაძე და ანთაძე ჩამოთვალეს. მხოლოდ ტირასპოლელთა მწვრთნელმა ვ. გერასიმოვმა „იძუნწა" და სულ სამი მოთამაშე (აბაიშვილი, კარტოზია და ცერცვაძე) დაასახელა.

ერთი სიტყვით, რიგასა და კაუნასში თამაშები დამთავრდა. ახლა ჯერი დასკვნით ტურზეა, რომლის გამართვაც კიევშია განზრახული 19-26 მაისს (ვაჟთა გუნდებისთვის). იქ თბილისელთა მეტოქეები კაუნასის ტურში მონაწილე გუნდები იქნებიან. მაისამდე არც თუ დიდი დრო დარჩა და საჭიროა ამთავითვე დავიწყოთ მზადება გადამწყვეტი ბრძოლებისთვის. მზადება მზადებად, მაგრამ „ბურევესტნიკის" რესპუბლიკური საბჭოს მესვეურებს იმაზე ფიქრიც მართებთ, რომ ხელბურთელები სათამაშო ფორმით უზრუნველყონ. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია: რიგაში ჩვენი სპორტსმენები საკმაოდ მოძველებულ ტანსაცმელში გამოდიოდნენ.

ქალთა გუნდების ჯგუფში ქულათა მაქსიმუმით (10) ლიდერობს კაუნასის „ჟალგირისი", II ადგილზეა მოსკოვის „ლუჩი" (8), III-IV — ბაქოს „სპარტაკი" და ჩერკასის „ბურევესტნიკი" (7-7), V — კიევის „სპარტაკი" (6), VI-VIII — კრასნოიარსკის „ბურევესტნიკი", სვერდლოვსკის „ტრუდი" და ოდესის „ლოკომოტივი" (5-5), IX — ვილნიუსის „სტატიბა" (4), X — რიგის „დაუგავა" (2), XI — ლენინგრადის „ბურევესტნიკი" (1) და XII — ტაშკენტის „ტექსტილშჩიკი" (0).

ჯ. ენუქიძე.

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა დასკვნითი ტურის წინ

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ბურევესტნიკი" (თბილისი) | 5 | 5 | 0 | 0 | 117—94 | 10 |
| „ჟალგირისი" (კაუნასი) | 5 | 4 | 1 | 0 | 96—84 | 9 |
| „კუნცევო" (მოსკოვი) | 5 | 4 | 0 | 1 | 107—71 | 8 |
| „ბოლშევიკი" (ლენინგრადი) | 5 | 3 | 0 | 2 | 97—92 | 6 |
| „ალუმინსტროი" (ზაპოროჟიე) | 5 | 2 | 2 | 1 | 70—71 | 6 |
| საავიაციო ინსტიტუტი (მოსკოვი) | 5 | 2 | 0 | 3 | 92—82 | 4 |
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 5 | 2 | 0 | 3 | 90—89 | 4 |
| „დინამო" (ბაქო) | 5 | 1 | 2 | 2 | 76—80 | 4 |
| „დაუგავა" (რიგა) | 5 | 2 | 0 | 3 | 96—109 | 4 |
| ასკ (კიევი) | 5 | 1 | 1 | 3 | 85—103 | 3 |
| ტირასპოლის გუნდი | 5 | 1 | 0 | 4 | 101—120 | 2 |
| „ბურევესტნიკი" (კრასნოდარი) | 5 | 0 | 0 | 5 | 82—114 | 0 |

# „...ბრწყინვალე გოლები"

შაბათს 130 ათასი მაყურებელი დაესწრო დიდი ბრიტანეთის ტრადიციული ტურნირის ფინალურ მატჩს შოტლანდიისა და ინგლისის ეროვნულ გუნდებს შორის „ჰემპდენ-პარკის" სტადიონზე, გლაზგოში.

შოტლანდია: ფერგიუსონი, გრეიგი, გემელი, მერდოკი, მაკ-კინონი, ბაქსტერი, ჯ. ჯონსტონი, ლოუ, უოლესი, ბრემნერი, ბ. ჯონსტონი.

ინგლისი: ბენქსი, კოენი, ნიუტონი, სტაილსი, ჯ. ჩარლტონი, მური, ბოლი, ჰანტი, რ. ჩარლტონი, ჰერსტი, კონელი.

ინგლისელებმა თამაში აგრესიულად დაიწყეს და შედეგსაც მიაღწიეს: ჰანტმა ორი მცველის მოტყუების შემდეგ ზუსტად გადააწოდა ბურთი ჰერსტს. ჰერსტმა დაარტყა და შოტლანდიელებმა ცენტრიდან დაიწყეს თამაში — 1:0. რამდენიმე წუთის შემდეგ ჰერსტმა „მადლობა გადაუხადა" ჰანტს და ამ უკანასკნელმა მეორე ბურთი მოათავსა ფერგიუსონის კარში — 2:0.

გლაზგოელი მაყურებელი თავისი გუნდისგან მოითხოვდა საპასუხო გოლს და ლოუს ბრწყინვალე თამაშის შედეგად მასპინძლებმა შეძლეს თამაშის აწყობა. საინტერესოა, რომ ლოუს შეკავება რამსეიმ ნახევარმცველ სტაილსს მიანდო (ლოუ და სტაილსი ერთად თამაშობენ „მანჩესტერ იუნაიტედში"), რომელმაც 3 კვირის წინ ლისაბონში თამაშიდან გათიშა მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი ფორვარდი ეუსებიო. მაგრამ ლოუსთან მან ვერაფერი გააწყო და შოტლანდიელმა მოახერხა ლამაზი თავური დარტყმით 1 ბურთის გაქვითვა.

მიუხედავად ერთგვარი უპირატესობისა, პირველი ნახევრის მიწურულში შოტლანდიელებმა მესამე გოლი მიიღეს საკუთარ კარში ჰანტის უძლიერესი დარტყმის შემდეგ — 3:1.

მეორე ტაიმი შოტლანდიელთა იერიშებით დაიწყო. 57-ე წუთზე ლოუმ უკან ჩამოიტოვა რამდენიმე მცველი და ბურთი ფეხზე „დაუსვა" მარჯვენა გარემარბ ჯ. ჯონსტონს, რომელმაც შეამცირა სხვაობა — 2:3, თუმცა მალე სტუმრების გააზრებულმა თამაშმა შედეგი გამოიღო: რ. ჩარლტონის კონტრიერიში გოლით დაგვირგვინდა — 4:2.

არც შოტლანდიელები დარჩნენ ვალში: კომბინაცია ბაქსტერი — ჯ. ჯონსტონი კიდევ 1 გოლით დამთავრდა — 3:4.

ბოლო 10 წუთი ინგლისელთათვის უაღრესად მძიმე იყო. ამ დროის მანძილზე შოტლანდიელმა ფეხბურთელებმა სამჯერ ითხოვეს არბიტრისგან პენალტის დანიშვნა, უკანასკნელ წამებზე კი მეკარე ბენქსის მიერ გაშვებული ბურთი თავით გამოიტანა კარის ხაზიდან სტაილსმა. ინგლისის ნაკრებმა გაიმარჯვა — 4:3.

როგორც კომენტატორები აღნიშნავენ, შოტლანდიელი ფეხბურთელების მაღალ ტექნიკასა და ინდივიდუალურ თამაშს ინგლისელებმა დაუპირისპირეს დისციპლინა და ბრძოლისუნარიანობა. ინგლისელთა შორის საუკეთესონი იყვნენ ძმები ჩარლტონები.

„განსაცვიფრებელი, ფანტასტიკური მატჩი", „ლამაზი ფეხბურთი, ბრწყინვალე გოლები" — ასეთი სათაურებით გამოეხმაურა ბრიტანული პრესა ამ შეხვედრას. ფეხბურთის სპეციალისტებმა, რომლებიც საკმაო რაოდენობით ესწრებოდნენ მატჩს, ხოტბა შეასხეს რამსეის გუნდს. ცნობილმა კომენტატორმა ჯ. უებსტერმა განაცხადა: „როგორც იქნა, ინგლისის გუნდი ისეთია, როგორიც უნდა იყოს. რამსეის ტაქტიკამ გაამართლა".

ამ გამარჯვების შედეგად ინგლისმა მოიგო დიდი ბრიტანეთის ტრადიციული ტურნირი და მომავალი მსოფლიო პირველობის ფავორიტის სახელი დაიბრუნა.

(საკ. ინფ.).




# ბრაზილიის ნაკრების განაცხადი

ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციამ ფიფა-ს გაუგზავნა მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის კანდიდატთა სია. აი, ეს განაცხადი:

მეკარეები — მანგა, ჟილმარი, ფაბიო, ვალდირი, უბირაირატრა; დაცვა — კ. ალბერტო, ჯ. სანტოსი, ფიდელისი, მურილიო, ბუნიკიასი, დიტაო, ბრიტო, დიასი, ორლანდო, ლეონიდასი, ალტაირი, რილდო, ფონტანა, ჟ. ენრიკე; ნახევარდაცვა: ჟერსონი, ზიტო, ლიმა, ფეფეუ, დინო, ედსონი, დუდუ, ალკინიო, ოლდარი, დენისლონი; თავდასხმა — გარინჩა, ჟაირზინიო, ნადრო, პ. ბორგესი, ფლავიო, ტოსტაო, პარანა, ჩელიო, პელე, სერვილიო, პარადა, რინალდო, ედუ, ივაირი.

დიდი მოულოდნელობაა კანდიდატთა სიაში ვეტერანი ნახევარმცველის ზიტოს შეყვანა. 2 ადგილი ფეოლამ შეინახა იტალიაში მოთამაშე ჟაირისა და ამარილდოსთვის.

## სიყვარულის მეორე მხარე

ფრანგმა სპორტულმა ჟურნალისტებმა გამოიანგარიშეს, რომ ყველაზე გამძლე და ერთგული გულშემატკივრები არიან სპორტულ მოსიარულეთა მეუღლეები და საცოლეები. მათი 80 პროცენტი რეგულარულად ესწრება ქმრებისა და საქმროების წვრთნას და შეჯიბრებებს. სპორტისადმი სიყვარულით განსაკუთრებით გაითქვა სახელი ჟაკლინ კლანმა. ერთხელ სტრასბურგიდან პარიზამდე 300-კილომეტრიანი ლაშქრობისას იგი ქმარს ავტომანქანით აცილებდა და შემახილებით და ჰაეროვანი კოცნით ამხნევებდა. როცა მანქანით მგზავრობა შეუძლებელი გახდა, ჟაკლინი ველოსიპედზე ამხედრდა, მერე კი ტრასის ურთულეს მონაკვეთზე ჩამოქვეითდა და მეუღლეს გაუძღვა. ქმარი, მართლაც, გამხნევდა, ტემპს მოუმატა და... იმდენად გაერთო თავისი ცოლის დევნით, რომ... სირბილზე გადავიდა, რისთვისაც იგი დაუყოვნებლივ მოხსნეს შეჯიბრებიდან.

## „ზოგი ჭირი მარგებელია"

რა კავშირი აქვს ძძლეოსნობას მეცნიერებასთან, რომელიც შეისწავლის და ასწორებს მეტყველების ხარვეზებს? თითქოს არაფერი. მაგრამ ეს მოსაზრება უარყოფილ იქნა პერუს მძლეოსანთა ჩემპიონატში. ამ ასპარეზობის მსაჯთა შორის იყო დაბადებით ენაბლუ ფერნანდეს დიასი. ბადროს ტყორცნისას, როცა სექტორთან რამდენიმე არბიტრი რაღაცაზე დაობდა, ერთმა სპორტსმენმა „მოსინჯა" ბადრო, მაგრამ იგი ხელიდან გაუსრიალდა და... მსაჯებისკენ გაფრინდა. ისინი გაიფანტნენ, ადგილზე მხოლოდ სპორტსმენისკენ ზურგშექცეული დიასი დარჩა. საბედნიეროდ, მსაჯს ბადრო ბრტყლად მოხვდა ზურგში. მოულოდნელობისგან მან გრძნობა დაკარგა. როცა გაიარა ხანმოკლე, მაგრამ ძლიერმა შოკმა, დამსწრეთა გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა: დიასი სავსებით გამართულად ალაპარაკდა...

## მეტისმეტად ძვირფასი საჩუქარი

ტოკიოს ოლიმპიადაში 50 კილომეტრზე სპორტულ სიარულში გამარჯვებისთვის იტალიელ ა. პამიჩს მეგობრებმა მოტოროლერი აჩუქეს. ჩემპიონმა გულითადი მადლობა გადაუხადა მეგობრებს, მეორე დღეს კი როლერი საკომისიო მაღაზიას ჩააბარა.

— რაშია საქმე? — გაწყრნენ კეთილისმყოფელები.

— ეს მეტისმეტად ძვირფასი საჩუქარია, — განუმარტა მათ ჩემპიონმა. — ძვირფასი იმ გაგებით, რომ შეიძლება იგი ძვირად დამიჯდეს, ვინაიდან, ჯერ ერთი, მე ყოველ დილით სამსახურამდე 16 კილომეტრს ფეხით დავდივარ, რაც ჩემი წვრთნის ნაწილს შეადგენს. ამდენივე გზას ვფარავ შინ დაბრუნებისას. თუ ამ გზას მოტოროლერით გავივლი, ცხადია, შედეგებს გავიუარესებ. მეორეც, ჩვენს ქალაქში, განსაკუთრებით პიკის საათებში, ფეხით სიარული უფრო იოლია, და მოტოროლერის გამო დაგვიანებისთვის სამსახურიდან მოხსნა სულაც არ მაძლევს ხელს.

# მეთექვსმეტეც ცნობილია

„ლელოს" წინა ნომერში დაიბეჭდა წერილი სათაურით „15 + X = 16", რომელიც ხელბურთელ ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებს ეხებოდა. ჩვენ ვწერდით, რომ უკვე გამოვლინდა 15 ფინალისტი და მხოლოდ 1 არაა ცნობილი. ველოდით ცნობებს კანადის ქალაქ ტორონტოდან, სადაც უნდა გარკვეულიყო, ვინ გახდებოდა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალის მე-16 საგზურის მფლობელი — აშშ თუ კანადა?

და აი, ცნობაც მოვიდა: კანადელებმა ალმავლობით ჩაატარეს განმეორებითი მატჩი, დიდი სხვაობით გაიმარჯვეს (30 : 17) და ფინალის საგზური გაინაღდეს (ნიუ-იორკში ისინი დამარცხდნენ — 24 : 26).

ამგვარად, ყველა ფინალისტის ვინაობა გარკვეულია.

ამ დღეებში, შვეციაში, სადაც მსოფლიოს ჩემპიონატი უნდა გაიმართოს, მოეწყობა კენჭისყრა: 16 გუნდი დაიყოფა ოთხ ქვეჯგუფად, მომავალი წლის იანვარში კი გადამწყვეტი ასპარეზობა დაიწყება.

# დღეს



## თბილისის სპორტის სასახლეში

გაიმართება ფიგურულ სრიალში ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების პრიზიორთა, აგრეთვე სხვადასხვა ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენთა განმეორებითი საჩვენებელი გამოსვლები. ყინულის სარბიელზე თავიანთ ოსტატობას გვიჩვენებენ: ე. მოიში (რუმინეთი), გ. ცილერი (გფრ), ე. შჩეგლოვა (სსრ კავშირი), ი. ბაბიცკა და ი. გოლანი (ჩეხოსლოვაკია), ო. ნეპელა (ჩეხოსლოვაკია), ჰ. მაშკოვა (ჩეხოსლოვაკია), ი. მიულერი და ჰ. გ. დალმერი (გდრ), დ. ნაიტი (კანადა), ტ. ტარასოვა და გ. პროსკურინი (სსრ კავშირი), ვ. მეშკოვი (სსრ კავშირი), ჟ. ალმაში (უნგრეთი), გ. ჰაუსი და ვ. ჰეფნერი (გფრ), ჰ. ვისკონტი (აშშ), ს. პფერსდორფი და გ. მატცდორფი (გფრ), გ. ზაიფერტი (გდრ), ე. დანცერი (ავსტრია), დ. ტაულერი და ბ. ფორდი (დიდი ბრიტანეთი), პ. ფლემინგი (აშშ).

ყინულზე ვიხილავთ აგრეთვე საქართველოს წარმომადგენლებს: თ. ჭიქიასა და ი. ჭაფარიძეს.

დასაწყისი 20 საათზე.

* * *

ჩვენმა სტუმრებმა გაითვალისწინეს თბილისელთა დიდი ინტერესი და თანხმობა განაცხადეს დამატებით გამოვიდნენ ყინულის სარბიელზე. ეს გამოსვლა გაიმართება დღეს, **15 საათზე**. ბილეთები სპორტის სასახლის სალაროებში გაიყიდება 10 საათიდან.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

## დღეს

საქართველოს პროფსაბჭოს სხდომათა დარბაზში გაიხსნება **საქართველოს პროფკავშირების სპორტსაზოგადოება „განთიადის" V რესპუბლიკური კონფერენცია.**

დასაწყისი 12 საათზე.

დელეგატების აღრიცხვა იწარმოებს პროფსაბჭოს შენობაში დილის 10 საათიდან.

**„განთიადის" ცენტრალური საბჭო.**

## თბილისის სპორტულ კვირაში

**ჭადრაკი.** საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის კლუბი (ლენინის ქ. № 14). **საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატი. დღეს — XV ტური.** დასაწყისი 17 ს.

**სპორტული ტანვარჯიში.** ლენინის სახელობის სპორტდარბაზი (კონსტიტუციის ქ. № 6). **5-6 აპრილი. თბილისის სპორტსაზოგადოებათა პირად-გუნდური პირველობა.** დასაწყისი: 5-ში — 16 ს., 6-ში — 18 ს.

ИНДЕКС 66448 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 04911